სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080106055928823

№ 2714

03 / ოქტომბერი / 2023 წ.

შპს „ირლანის“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT220018207;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ირლანი“ (ს/ნ: 400157272);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 2 აგვისტოს წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 2 აგვისტოს № 12-01232142354 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 6346), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ირლანის“ (ს/ნ: 400157272) მიერ NAT220018207 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2022 წლის 12 ოქტომბრის № 02.01/30/321 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის irlani.ltd@gmail.com მეშვეობით, 2023 წლის 4 აგვისტოს № 2584 წერილით, აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2023 წლის 11 აგვისტოს სააგენტოში წარმოადგინა 2023 წლის 11 აგვისტოს №IRLN-KC–MNG-OUT-001 განმარტება (რეგისტრაციის № 6581) მის მიერ NAT220018207 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2022 წლის 12 ოქტომბრის № 02.01/30/321 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ, სააგენტოს 2023 წლის 15 სექტემბრის № 2894 წერილის პასუხად, 2023 წლის 25 სექტემბერს წარმოადგინა 2023 წლის 22 სექტემბრის № 12-01232653315 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის №7785) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2022 წლის 12 ოქტომბრის № 02.01/30/321 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციის დამატებითი ინფორმაციის თანახმად, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში აუცილებელი გახდა პროექტში გარკვეული ცვლილებების შეტანა,

რომელსაც სამუშაოების წარმოების არსებითი შეფერხება არ გამოუწვევია. შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ განხორციელდა გარკვეულ მონაკვეთზე კოლექტორის გაწმენდითი სამუშაოები, მაგრამ აღნიშნული ვერ იქნებოდა ხელისშემშლელი, ვინაიდან ობიექტზე არსებობდა სხვა სამუშაოების წარმოების შესრულების შესაძლებლობა. ასევე, ხელშეკრულების დანართ ხარჯთაღრიცხვაში, აუცილებლობიდან გამომდინარე, განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები, შპს „ირლანის“ მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზით, მაგრამ აღნიშნულს არ შეუფერხებია ობიექტზე სამუშაოების წარმოება. ამასთან, სახელმწიფო/კერძო უწყებებთან სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით შეთანხმება საჭირო არ გამხდარა. პროექტში მოცემული გარკვეული შესასრულებელი სამუშაოს ნახაზები დაზუსტდა სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, რასაც ზეგავლენა არ მოუხდენია მუშა პროცესზე, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას არანაირი შეფერხება არ ჰქონია. შემსყიდველი ორგანიზაციის მითითებით, დამატებით პროექტის კორექტირება არ იგეგმებოდა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტებით, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში თავი იჩინა არაერთმა ვალდებულებების შესრულების შემაფერხებელმა გარემოებამ. მიმწოდებლის მითითებით, მცირედი სამუშაოების შესრულების შემდეგ, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ობიექტზე გაწმენდითი სამუშაოების ჩასატარებლად შევიდა შპს „თბილსერვის ჯგუფი“, რომელსაც ერთ თვეზე მეტი დასჭირდა სამუშაოების შესასრულებლად, რის გამოც, მთელი ამ დროის განმავლობაში, მიმწოდებელი სამუშაოებს ვერ აწარმოებდა სრული დატვირთვით. ამასთან, სამუშაოების მიმდინარეობისას ადგილზე კომისიურად გადაწყდა პროექტის კორექტირება, რის შედეგადაც, კოლექტორის სრული დემონტაჟის ნაცვლად უნდა განხორციელებულიყო არსებული ბეტონის კონსტრუქციების ზედაპირზე რკინა-ბეტონის პერანგის მოწყობა, რის თაობაზეც შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა 2022 წლის ნოემბრის თვეში, ხოლო პროექტი დაკორექტირდა 2023 წლის 13 თებერვალს. განმარტების თანახმად, პროექტის კორექტირებისას კვლავ იჩენდა თავს გარკვეული შეუსაბამობები, რის გამოც მისი კორექტირება იწელებოდა დროში, ისევე, როგორც კორექტირებულ ხარჯთაღრიცხვაში ახალი სამუშაოების ერთეულის ფასებთან დაკავშირებით საჭირო გახდა ექსპერტიზის ჩატარება, რასაც ასევე დამატებითი დრო დასჭირდა. მიმწოდებლის მითითებით, ვალდებულებების შესრულების შემაფერხებელ გარემოებას ასევე წარმოადგენდა ის ფაქტები, რომ პროექტიდან გამომდინარე ადგილზე საჭირო გახდა ისეთი სამუშაოების ჩატარება, რომლებიც უნდა შესრულებულიყო შესაბამისი სახელმწიფო/კერძო უწყებებთან შეთანხმების შემდგომ. ამასთან, სამშენებლო ობიექტის მომიჯნავედ მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროს კუთვნილი ტერიტორიიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ ეძლეოდა საშუალება ჩაეკეტა სამშენებლო მოედანი და შეეზღუდა მოძრაობა, რადგან აღნიშნულ მონაკვეთზე გადაადგილდებოდნენ, როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლები, ასევე სამინისტროს სპეციალური მანქანები. ამდენად, მიმწოდებელს არ ეძლეოდა საშუალება სამუშაოები ეწარმოებინა სრული დატვირთვით. განმარტების თანახმად, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში 2023 წლის 8 მაისს მეორედ განხორციელდა პროექტის კორექტირება, ხოლო ყოველი ახალი სამუშაოს დაწყებისას ირკვეოდა, რომ საპროექტო დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა ხარჯთაღრიცხვას და საჭიროებდა კვლავ კორექტირებას. მიმწოდებლის მითითებით, იმის მიუხედავად, რომ მას არ ჰქონდა უხარვეზო პროექტი, სამუშაოების გეგმა-გრაფიკით წარმოების მიზნით ობიექტზე არ ჩერდებოდა სამუშაოები, რასთან დაკავშირებითაც 2023 წლის თებერვლის თვეში შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელი სიტყვიერად გააფრთხილა, რომ არ ეწარმოებინა სამუშაოები საბოლოო საპროექტო კორექტირებული ნახაზების მიღებამდე, რომელთა მიწოდებაც ხდებოდა ეტაპობრივად, რაც ასევე აფერხებდა სამუშაოების წარმოებას. მიმწოდებლის მითითებით, 2023 წლის ივლისის თვეში შემსყიდველ ორგანიზაციასთან ვერბალური შეთანხმების საფუძველზე დაიგეგმა პროექტის მესამედ კორექტირება, რადგან მიმწოდებელმა, შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეთანხმებით, შეასრულა ისეთი სამუშაოები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული პროექტით, ხოლო ბოლო 6 მეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება აღარ უნდა მომხდარიყო. განმარტების თანახმად, იგი ელოდებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კორექტირებული პროექტის მიწოდებას, რის შემდეგაც უნდა დაკორექტირებულიყო ხარჯთაღრიცხვაც. მიმწოდებლის მითითებით, 2023 წლის 22 მაისის მდგომარეობით ობიექტზე მოწყობილი იყო 67 ცალი გადახურვის კონსტრუქცია და პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა დარჩენილი კონსტრუქციების ბაზაზე დამზადება, რადგან 20-30 ერთეული კოჭის დამზადებას ჭირდებოდა შესაბამისი დრო (ბეტონს უნდა მიეღო საპროექტო მარკა), რის შემდეგაც მოხდებოდა მათი ერთობლივი ტრანსპორტირება და მონტაჟი. ამასთან, 2023 წლის 25 ივლისის მდგომარეობით ბაზაზე დამზადებული იყო 31 ცალი ანაკრები რკინა-ბეტონის გადახურვის კონსტრუქცია, ხოლო ბეტონის საპროექტო მარკის მიღების შემდეგ უნდა განხორციელებულიყო მათი ტრანსპორტირება-მონტაჟი. განმარტების თანახმად, მიუხედავად ვადის გადაცილებისა, მას არ მიუღია წერილობითი გაფრთხილება ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით, ხოლო მიმწოდებელი და შემსყიდველი ორგანიზაცია სიტყვიერად შეთანხმებულები იყვნენ სამუშაოების გაგრძელებაზე. ამდენად, მიმწოდებელმა მიუთითა, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი და იგი არ უნდა დარეგისტრირებულიყო შავ სიაში.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2022 წლის 12 ოქტომბერს, NAT220018207 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ირლანს“ (ს/ნ: 400157272) შორის დაიდო № 02.01/30/321 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს წერილობითი დავალების მიცემიდან 180 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეესრულებინა ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში,

გ. ნიკოლაძის ქუჩაზე გამავალი სანიაღვრე კოლექტორის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განსაზღვრა 1 714 878,62 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2025 წლის 15 ივლისი.

4.2. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 18 ოქტომბრის N14-01222911509 წერილით დაევალა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოება 180 კალენდარული დღის ვადაში, 2022 წლის 24 ოქტომბრიდან 2023 წლის 21 აპრილის ჩათვლით.

4.3. შემსყიდველ ორგანიზაციას მიმწოდებლის 2022 წლის 17 ნოემბრის №IRLN-KC-OUT-003, 13 დეკემბრის №IRLN-KC-OUT-006, ასევე 2023 წლის 11 იანვრის №IRLN-KC-OUT-015 და 1 თებერვლის №IRLN-KC-OUT-018 წერილებით ეთხოვა ობიექტზე არსებული სიტუაციის კომისიური წესით შეფასება, მოსახლეობის მიერ გამოთქმული უკმაყოფილების გამო, პროექტის განხორციელების პროცესში შემსყიდველი ორგანიზაციის ჩართულობა. შემსყიდველ ორგანიზაციას ასევე ეცნობა ობიექტზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ და ეთხოვა პროექტის კორექტირება.

4.4. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 30 ნოემბრის №14-01223341946, 26 დეკემბრის №14-0122360924, ასევე 2023 წლის 15 თებერვლის № 14-01230461 წერილებით მიმწოდებელს გაეგზავნა კორექტირებული ნახაზები.

4.5. მხარეთა შორის 2023 წლის 13 თებერვალს გაფორმებული შეთანხმებით, დაკორექტირდა ხარჯთაღრიცხვა და ხელშეკრულების ღირებულებას განისაზღვრა 1 407 792,16 ლარი.

4.6. შემსყიდველ ორგანიზაციას მიმწოდებლის 2023 წლის 21 მარტის №IRLN-KC-OUT–022 წერილით ეცნობა, რომ ობიექტზე არსებულ რეალობას არ შეესაბამებოდა პროექტი და ეთხოვა მისი კორექტირება, ხოლო 2023 წლის 23 მარტის № IRLN-KC-OUT-028 წერილით, იქიდან გამომდინარე, რომ კოლექტორის დარჩენილი გადახურვის ფილის დემონტაჟამდე, აუცილებელი იყო დროებითი ჩასასვლელი პანდუსის მოწყობა, რაც წარმოადგენდა გაუთვალისწინებელ სამუშაოებს და საჭირო იყო არსებული ლითონის მოაჯირებისა და ბორდიურების დემონტაჟი (შემდგომში ახლიდან მონტაჟი) და ასევე პანდუსის მოწყობა ასფალტობეტონის ნაფრეზის გამოყენებით, მიმწოდებელმა ითხოვა პანდუსის მოწყობის ნებართვაზე შუამდგომლობა. მიმწოდებელმა 2023 წლის 27 მარტის №IRLN-KC-OUT-029 წერილით, ადგილზე არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ასევე ითხოვა ნახაზის კორექტირება.

4.7. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 27 მარტის №14-01230862705 წერილით გაეგზავნა კორექტირებული ნახაზი.

4.8. მიმწოდებელმა 2023 წლის 11 აპრილის №IRLN-KC-OUT-035 წერილით, პროექტში არსებული უზუსტობის მიზეზით, ითხოვა პროექტის კორექტირება, ხოლო 2023 წლის 19 აპრილის № IRLN-KC-OUT-037 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას განუმარტა, რომ პროექტის მიმდინარეობისას გამოვლინდა რიგი ფაქტობრივი გარემოებებისა, რაც უარყოფითად აისახა სამუშაოების ტემპზე. პროექტით გათვალისწინებული ფილის დემონტაჟის შემდგომ, დღის წესრიგში დადგა არსებული კედლების ვარგისიანობის დადგენა, რასთან დაკავშირებითაც არაერთხელ მოხდა ობიექტის კომისიური წესით დათვალიერება ყველა ჩართული მხარის მონაწილეობით, რის შემდეგაც მიღებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილება და შენარჩუნდა არსებული კედლები მარცხენა მხარეს და დემონტაჟი ჩაუტარდა მხოლოდ ძლიერ დაზიანებულ კედლებს ფრაგმენტულად. არსებული კედლები კი გამაგრდა რკინაბეტონის პერანგით, ანკერების მოწყობით, რაც, თავის მხრივ, მოითხოვდა ბევრად მეტ შრომითი რესურსის გამოყენებას და აისახება დროზე. ასევე, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ თავდაპირველ პროექტში რკინაბეტონის კოჭების ნახაზები იყო მოწოდებული 12 მეტრიანი სიგრძით, ნაცვლად 9 მეტრისა, რომლის საბოლოო კორექტირებული ვერსია მიმწოდებელმა მიიღო 2023 წლის 14 თებერვალს, რის გამოც, შეუძლებელი იყო კოჭების წარმოების დაწყება მითითებულ თარიღამდე. ამასთანავე, იმის გამო, რომ აღნიშნული კოჭები არის ე.წ. არასტანდარტული ტიპის (სიგრძიდან გამომდინარე), კომპანია მოკლებული იყო შესაძლებლობას, მოეხდინა დამზადებული კოჭების შესყიდვა და მას შემდეგ რაც მან მიიღო საბოლოო კორექტირებული ნახაზები, კომპანია თვითონ ახორციელებდა კოჭების ბეტონირებას, რაც ასევე აისახებოდა სამუშაო დროზე. აღნიშნული გარემოებებისა და ზამთარსა და გაზაფხულზე არსებული ნალექის გათვალისწინებით, მიმწოდებელმა ითხოვა შესასრულებელი სამუშაოების ვადის გაზრდა 2023 წლის 10 ივნისის ჩათვლით. გარდა ამისა, შემსყიდველ ორგანიზაციას მიმწოდებლის 2023 წლის 26 აპრილის №IRLN-KC-OUT-038 წერილით კვლავ ეცნობა ხარვეზის თაობაზე და შეთანხმების მიზნით, წარედგინა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

4.9. მხარეთა შორის 2023 წლის 8 მაისს გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც დაკორექტირდა ხარჯთაღრიცხვა.

4.10. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 1 აგვისტოს № 14-01232133473 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელს, მიუხედავად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის ამოწურვისა, არ ჰქონდა დასრულებული სამუშაოები. ამავე წერილით მიმწოდებელს ეცნობა ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

4.11. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით დგინდება, რომ მიმწოდებელმა შეასრულა 813 033,22 ლარის ღირებულების სამუშაოები, რაც ხელშეკრულების ღირებულების 58%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ირლანს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მხარეთა შორის 2023 წლის 8 მაისს გაფორმებული შეთანხმებით საბოლოოდ დაკორექტირდა ხარჯთაღრიცხვა. საქმეში არ მოიპოვება დოკუმენტი, რომლითაც დადგინდება, რომ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას აღნიშნული შეთანხმების გაფორმების შემდგომ კვლავ დაუდგინდა ხარვეზი (საქმეში ასევე არ მოიპოვება მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა შესაძლო ცვლილების გაფორმების თაობაზე მხარეთა შორის შეთანხების არსებობა, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დამატებით პროექტის კორექტირება არ იგეგმებოდა). რაც შეეხება ვადის ცვლილებას, სააგენტო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მართალია, შემსყიდველ ორგანიზაციას არ გამოუთქვამს თანხმობა მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილ ვადის გაზრდაზე, თუმცა, საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ მიმწოდებელს არა თუ მის მიერ მითითებულ ვადაში – 2023 წლის 10 ივნისის ჩათვლით, არამედ 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობითაც კი არ ჰქონდა დასრულებული სამუშაოები. ამგვარად, საქმეში არსებული ფაქტებისა და მსჯელობის ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შეთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, თანაზომიერების პრინციპი დაირღვევა, თუ: ა) მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სულ მცირე, 50%; ბ) მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“. ამავე მუხლის 5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 58%.

ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „ირლანის“ შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ირლანს“ (ს/ნ: 400157272) 2023 წლის 3 ოქტომბერს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად ზაზა ნანობაშვილი